Tbilisis humanitaruli saswavlo universiteti
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025

	დადგენილების #	თარიღი
დამტკიცებულია:	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N2 დადგენილება	21.01.2019
შეტანილია ცვლილება:*	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N17-2019 დადგენილება	10.09.2019
	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N01-2020 დადგენილება	09.01.2020
	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N03-2022 დადგენილება	04.03.2022

* - შეტანილი ცვლილების აღწერა წარმოდგენილია #7-ში

თბილისი - 2019

სარჩევი

1. უნივერსიტეტის ისტორია 3
2. უნივერსიტეტის მისია.....4
3. არსებული სიტუაცია და გამოწვევების ანალიზი.....5
3.1. SWOT ანალიზი.....7
4. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები - 2019-2025.....8
5. ცვლილებების შეტანის აღწერა 2019-2025 პერიოდში.....9
6. სტრატეგიული განვითარების გეგმა - 2019-2025
6.1. სტრატეგიული მიზანი 1. ორგანიზაციული განვითარება..... 10
6.2. სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება 15
6.3. სტრატეგიული მიზანი 3. სტუდენტური სერვისების განვითარება.....18
6.4. სტრატეგიული მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინტერნაციონალიზაცია და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა 19
7. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (2019-2025)..... 21

1. უნივერსიტეტის ისტორია

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელის დაარსდა 1992 წელს. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ საგანამანათლებლო საქმიანობაზე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე უნივერსიტეტს მიეცა უფლება განეხორციელებინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები შემდეგი სპეციალობებით: ისტორია, სამუზეუმო საქმე და ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვა, ჟურნალისტიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, სამართლისმცოდნეობა, უცხო ენები და ხელოვნებათმცოდნეობა.

2002 წლიდან უნივერსიტეტი ოფიციალურად იწოდება როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - თჰუ), რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს ნებართვის საფუძველზე ახორციელებდა უმაღლესი განათლების პროგრამებს შემდეგი სპეციალობებით: ფინანსები და კრედიტი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი.

2002–2010 წლებში თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა მოგვიანებით, საქართველოს კანონმდებლობაში უნივერსიტეტების სტატუსთან დაკავშირებით შეტანილი საკანონმდებლო ნოვაციების შესაბამისად, უნივერსიტეტმა დააზუსტა თავისი სტატუსი, გახდა სასწავლო უნივერსიტეტი და მთავარ მიზანდ დაისახა საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი რეალიზაცია. უნივერსიტეტში სწავლა მიმდინარეობს, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.

2008-2013 წლებში თჰუ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2008 წლის 3 დეკემბრის N36/ს გადაწყვეტილების და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს N131 გადაწყვეტილების შესაბამისად.

2013 წლის 10 ოქტომბერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს #23 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს-თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს 2013 წლის 3 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 32^2-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2011–2015 წლებში, ავტორიზაციის 5-წლიანი ვადა გაუგრძელდა 1 წლით.

ამრიგად, 2019 წელი უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევების წელია, რადგან დასრულდა 2013-2018 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ვადები და უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, ამასთანავე მოემზადოს ავტორიზაციის პროცესისათვის, დააკმაყოფილოს ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და მიიღოს ავტორიზებული უნივერსიტეტის სტატუსი.

2. უნივერსიტეტის მისია

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - სასწავლო უნივერსიტეტს, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს ჰუმანიტარული განათლების, სოციალური მეცნიერებების, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჯანდაცვის მიმართულებით.

უნივერსიტეტის მისიაა წარმოადგენდეს უმაღლეს საგანმანათლებლო კერას ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებზე დაფუძნებულ განათლებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს, რითაც წვლილი შეაქვს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, პიროვნების განვითარებასა და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში.

უნივერსიტეტის ხედვაა წარმოდგენდეს მაღალი ხარისხის განათლების მიმწოდებელს, რომელიც:

- ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და საგანმანათლებლო მიზნებიდანგამომდინარე მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნეს-სექტორთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ინსტიტუციებთან, გარე დაინტერესებულ პირებთან და ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის ინტეგრირებას სასწავლო პროცესში;
- უწყვეტი განათლების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს და ახორციელებს დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად სასერთიფიკატო კურსებსა და პროგრამებს.
- ნერგავს და განავითარებს ხარისხის უზრუნველყოფის მდგრად მექანიზმებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების სტანდარტების გათვალისწინებით;
- სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშეცნობისა და ურთიერთგავლენის აუცილებლობის აღიარებით ავითარებს საერთაშორისო კონტაქტებს, იზიდავს უცხოელ სტუდენტებს და ეფექტურად იყენებს ინტერნაციონლიზაციის შესაძლებლობებს მდგრადი განვითარებისათვის;
- თავის საქმიანობას ახორციელებს კორპორატიული კულტურის დამკვიდრებით ისეთი ძირეული ღირებულებების პატივისცემის საფუძველზე, როგორიცაა:
    - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
    - აკადემიური და ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება;
    - პიროვნების თავისუფალი განვითარება;
    - თანასწორობა, ტოლერანტობა და არადისკრიმინაციულობა;
    - ადამიანის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელშეუვალობა.

3. არსებული სიტუაცია და გამოწვევების ანალიზი (SWOT ანალიზი)

2013 წლისათვის უნივერსიტეტში სწავლობდა 496 სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიული სტუდენტი. ყველა მოქმედი პროგრამის განხორციელება ხდება ფაკულტეტებზე დასაქმებული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ. უნივერისიტეტს ემსახურებოდა 40 სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი, 60–მდე მოწვეული უფროსი მასწავლებელი დამასწავლებელი.

უნივერსიტეტს საკუთრებაში გააჩნია 3646 კვ.მ უძრავი ქონება, მასზე განთავსებული ორფლიგელიანი შენობა–ნაგებობა (ორი სასწავლო კორპუსი), სპორტული მოედნითა და კეთილმოწყობილი ეზოთი, რეკრეაციული სექტორით. უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, საკონფერენციო დარბაზით ვიდეო-კონფერენციის საშუალებებით, ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი და ციფრული ფონდით, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემა OPEN BIBLIO–თი, უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს წარმოადგენს სამი ფაკულტეტი:

1. სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
3. ჯანდაცვის ფაკულტეტი.

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან მოქმედებს იურიდიული კლინიკა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კლინიკურ სწავლებასა და პროფესიული პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციას. კლინიკა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას, სტუდენტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების (ცოდნისა და უნარების) რეალურ ან/და იმიტირებულ ცხოვრებაში გამოცდას.

ჯანდაცვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კლინიკა და მისი მიზანია – სტუდენტის მიერ პროფესიული და პრაქტიკული კლინიკური უნარ–ჩვევების გამომუშავება. კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და სტომატოლოგიური დანადგარებით.

2018 წლის ბოლოს უნივერსიტეტმა შეაჯამა და შეაფასა უნივერსიტეტის 2013-2018 წლების სტრატეგიული გეგმის შესრულება, დამფუძნებლების გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მართვის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასებისათვის, უნივერსიტეტის ყველა რგოლის აქტიური ჩართულობით დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე (2019-2025) და სამოქმედო გეგმაზე (2019-2021), რომელიც დაფუძნებულია თჰუ-ს ფაკულტეტების სტრატეგიულ ხედვებზე.

სტრატეგიული დაგეგმვის წარმატებული პროცესის უზრუნველსაყოფად თჰუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სამსახურების უფროსების, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და დამსაქმებლების წარმომადგენლობით. უნივერსიტეტისთვის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში კვალიფიციური დახმარების აღმოჩენის მიზნით მოწვეულ იქნა დამოუკიდებელი ექსპერტ-კონსულტანტი.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა მისიისა და ხედვის განაცხადის განახლება-მოდერნიზება. ამასთან, 2018 წლის 25 დეკემბერს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებელთა კრებამ მოისმინა საკითხი 2013-2018 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შესახებ, მოხდა მიღწევების შეჯამება და გამოწვევების იდენტიფიცირება. დამფუძნებლების ინიციატივით უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

ბოლო 5 წლიანი (2013-2018) პერიოდის მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შევაფასოთ უნივერსიტეტი როგორც დინამიურად განვითარებადი უნივერსიტეტი, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებას გეგმავს თანამედროვე მოთხოვნებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, რისთვისაც ისწრაფვის დანერგოს საუნივერსიტეტო მართვის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების გამოყენების მდგრადი და განვითარებადი პრაქტიკა.

პარამეტრი	2013	2017	2018
სტუდენტების რაოდენობა მათ შორის:	410	542	617
უცხოელი სტუდენტები	102	274	341
პროფესიული სტუდენტი	20	-	-
აკადემიური პერსონალი	40	64	81
მოწვეული პერსონალი	60	40	40
თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალი/ სტუდენტების რაოდენობა	1:4.1	1:5.2	1:5,1
თანაფარდობა აკადემიური პერსონალი/მოწვეული პერსონალი	1:1,5	1,6:1	2:1

2019 წლის 11 იანვარს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა კრებამ მოისმინა მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ანგარიში. დაადგინეს, რომ მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია გადაიხედოს უნივერსიტეტის სტრუქტურა.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება დაეფუძნა SWOT ანალიზს, რომელიც შესრულდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტებისა და სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლის საფუძველზე. ჩატარებულმა SWOT ანალიზმა უნივერსიტეტს საკუთარი შესაძლებლობების და რესურსების შეფასებისა და მათი ეფექტური გამოყენების გზების განსაზღვრის საშუალება მისცა, რომლის საფუძველზე თჰუ-ს 2019-2025 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილია უნივერსიტეტის პრიორიტეტები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა შედგენილია უნივერსიტეტის საქმიანობის სუსტი მხარეების გაუმჯობესების დროში გაწერილი მიზანმიმართული ქმედებებით, ძლიერი მხარეებით განპირობებული შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით.

3.1. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
• 30-წლიანი გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში; • პოზიტიური და კომფორტული სასწავლო და სამუშაო გარემო: • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; ○ ორფლიგელიანი შენობა–ნაგებობა (ორი სასწავლო კორპუსი), სპორტული მოედნითა და კეთილმოწყობილი ეზოთი, რეკრეაციული სექტორით; ○ კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, სანიტარიული კვანძები და გათბობის ცენტრალური სისტემა; ○ ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება; ○ პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სერვისი. • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პრიორიტეტულობა; • უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები; • აკრედიტებული პროგრამების განხორციელება; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.	• მართვის ეფექტიანობა და ანგარიშვალდებულების სისტემური გამოყენება; • საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების არასაკმარისი გამოყენება; • პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები; • სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; • ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია; • მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სასერთიფიკატო კურსებისა და პროგრამების ნაკლებობა.
შესაძლებლობები:	**საფრთხეები:**
• ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბება საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება; • ადამიანური რესურსების მართვის მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბება; • ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა; • უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისათვის; • კვლევის მხარდაჭერა და განვითარება; • სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერა; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და არსებულის მრავალფუნქციურად გამოყენება; • გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშემწყობა • თანამშრომლობა პარტნიორი ორგანიზაციების ქსელთან, ბიზნეს-სექტორთან, საგანმანათლებლო პროფილის სფეროში მოღვაწე პროფესიულ ასოციაციებთაან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.	• მზარდი კონკურენცია საუნივერსიტეტო განათლებაში; • უნივერსიტეტის მიერ განხორციელებად პროგრამებზე მოთხოვნის შემცირება; • დაგეგმილი კონტინგენტის მიუღებლობა; • უცხოენოვან სტუდენტთა ნაკადის შემცირება; • დაფინანსებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები; • უმაღლესი განათლების სფეროში აფილირებული აკადემიური პერსონალზე დაწესებული შეზღუდვები და კონკურენცია კვალიფიციურ პერსონალზე; • შრომის ბაზრისა და დასაქმების არასტაბილურობა.

4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები - 2019-2025

მიზანი 1. ორგანიზაციული განვითარება

ამოცანა 1.1. მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა
ამოცანა 1.2. ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გაუმჯობესება
ამოცანა 1.3. კორპორატიული კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრება
ამოცანა 1.4. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება
ამოცანა 1.5. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება
ამოცანა 1.6. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება

მიზანი 2. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება

ამოცანა 2.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება მუდმივად ცვალებად გარემოსთან შესაბამისობით
ამოცანა 2.2. სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება
ამოცანა 2.3. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სასერთიფიკატო კურსები და პროგრამები
ამოცანა 2.4. კვლევის მხარდაჭერა და განვითარება

მიზანი 3. სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა 3.1. სტუდენტური ინიციატივებისა და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა-მხარდაჭერა
ამოცანა 3.2. სტუდენტური სერვისები და კარიერული მხარდაჭერა

მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინტერნაციონალიზაცია და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა

ამოცანა 4.1. საზოგადოებასთან ურთიერთობა და ურთიერთსასარგებლო კავშირების განვითარება
ამოცანა 4.2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა.

5. ცვლილებების შეტანის აღწერა 2019-2025 პერიოდში

#	დადგენილების # და თარიღი	ცვლილების ისტორია	
		სტრატეგიული მიმართულება, ამოცანა და ქვეამოცანა	ცვლილების დაწვრილებითი აღწერა და დანართების მითითება
1	#17-2019 10.09.2019	1.2.5. მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასების მექანიზმები	შეიცვალა სამიზნე ნიშნულისათვის განსაზღვრული ვადა
		1.6.1. უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე ფართის გაზრდა.	შეიცვალა სამიზნე ნიშნულისათვის განსაზღვრული ვადა
		1.5.2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	შეიცვალა სამიზნე ნიშნულისათვის განსაზღვრული ვადა
		1.3.6. სოციალურად დაუცველ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება	შეიცვალა სამიზნე ნიშნულისათვის განსაზღვრული ვადა
		7. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (2019-2025)	ცვლილება განპირობებულია ავტორიზაციის პროცესით განსაზღვრული სტუდენტთა კონტიგენტით - 730 ადგილით

გამოყენებული აღნიშვნები:
√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს;
O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები;
X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

ამოცანები და ქვე-ამოცანები	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	ძირითადი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნული	ძირითადი სტრუქტურა/პირი
1. სტრატეგიული მიზანი - ორგანიზაციული განვითარება									
ამოცანა 1.1. მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა									
1.1.1. უნივერსიტეტის სტრუქტურის მოდერნიზება	√							• ახალი სტრუქტურა 2019 წლის თებერვლისათვის	რექტორი და აკადემიური საბჭო
1.1.2. უნივერსიტეტის წესდების გადახედვა/მოდერნიზება	√							• ახალი წესდება 2019 წლის თებერვლისათვის	იურიდიული სამსახური აკადემიური საბჭო
1.1.3. უნივერსიტეტის სამსახურების დებულებების მოდერნიზება/შემუშავება	√							• უნივერსიტეტის სამსახურების ახალი დებულებები 2019 წლის თებერვლისათვის	იურიდიული სამსახური აკადემიური საბჭო
1.1.4. ფაკულტეტების დებულებების მოდერნიზება	√							• ფაკულტეტების ახალი დებულებები 2019 წლის თებერვლისათვის	იურიდიული სამსახური აკადემიური საბჭო
1.1.5. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა	√	X	X	X	X	X	X	• 2019 წლის აპრილში დანერგილია და მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა eflow-ის ბაზაზე.	რექტორი
1.1.6. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება	√	√	√	√	√	√	√	• საუნივერსიტეტო საზოგადოების კმაყოფილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მიმართ ყოველწლიურად იზრდება არანაკლებ 5%-ით.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ელექტრონული ბაზების ადმინისტრატორი
1.1.7. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება	O	X	√	X	X	X	X	• 2021 წლისათვის მართვის ეფექტიანობის შეფასებაში გამოკითხულთა არანაკლებ 70% კმაყოფილია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვით. • 2021 წლისათვის მართვის ეფექტიანობის სამწლიანი შეფასება აჩვენებს მინიმუმ დამაკმაყოფილებელ შედეგს.	რექტორი
ამოცანა 1.2. ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გაუმჯობესება									
1.2.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები	O	X	√	X	X	X	X	• ყველა პროგრამის შეფასება და გაუმჯობესება ხდება კომპლექსური შეფასების (მათ შორის,	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1.2.2. სტუდენტთა და სხვა პირთა გამოკითხვის მექანიზმები	O	X	√	X	X	X	X	დაინტერესებული მხარეების გამოკითხვისა და ჩართულობის) საფუძველზე.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.2.3. საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების პროცედურის გაუმჯობესება	O	√	√	√	√	√	√	• ახალი ან ძირეულად მოდერნიზებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოიყენება გარე შეფასება შესაბამისი პროცედურის მიხედვით.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.2.4. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი	O	√	√	√	√	√	√	• ყოველსემესტრულად სრულდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და მისი შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.	ფაკულტეტები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.2.5. მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასების მექანიზმები	O	O	√	X	X	X	X	• 2021 წლისათვის შეფასება შესრულებულია სტუდენტთა და სხვა პირთა გამოკითხვის, ანალიზისა და წლიური ანგარიშგების საფუძველზე.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.2.6. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა	O	O	√	X	X	X	X		ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ამოცანა 1.3. კორპორატიული კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრება									
1.3,1. თჰუ-ს თანასაზოგადოება იზიარებს და იცავს ეთიკისა და ქცევის წესებს, იცნობს ამ წესების დარღვევაზე რეაგირების პროცედურებს.	√	√	√	√	√	√	√	• უნივერსიტეტის ახალბედა თანამშრომლებისათვის და სტუდენტებისათვის ტარდება გაცნობითი ხასიათის შეხვედრები ეთიკისა და ქცევის წესების, აკადემიური თავისუფლებისა და საქმიანობის კეთილსინდისიერების საკითხებზე. • სამიზნე ჯგუფების ყოველწლიურ გამოკითხვებში არანაკლებ 80% ადასტურებს, რომ იცნობს და იცავს შესაბამის წესებს.	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.3.2. თჰუ-ს თანასაზოგადოება იზიარებს და იცავს აკადემიური თავისუფლების, საქმიანობის კეთილსინდისიერების და პლაგიატის თავიდან აცილების პრინციპებს.	√	√	√	√	√	√	√		
1.3.3. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები და ამ მიზნით პროგრამის ამოქმედება.	O	O	√	X	X	X	X	• 2019 წლის დეკემბრიდან პილოტირების რეჟიმშია და ინერგება ანტიპლაგიატის სპეციალური პროგრამა • 2020 წლისათვის დანერგილია და გამოყენებაშია ანტიპლაგიატის სპეციალური პროგრამა	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.3.4. ქაღალდის გამოყენების შემცირებისა და განცალკავებული შეგროვების პრაქტიკის გაუმჯობესება.	O	√	X	X	X	X	X	• 2020 წლისათვის უნივერსიტეტში ხდება რეციკლირებადი ნარჩენების (ქაღალდი და პლასტიკი) სეპარირება.	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
1.3.5. საქველმოქმედო კორპორატიული აქციები სტუდენტთა და თანამშრომელთა მონაწილეობით	√	√	√	√	√	√	√	• ყოველწლიურად არანაკლებ 2 საქველმოქმედო აქცია	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
1.3.6. სოციალურად დაუცველ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პირთა		O	O	√	X	X	X	• 2021 წლისათვის შემუშავებულია და პრაქტიკაში ხორციელდება იურიდიული და	საზოგადოებასთან ურთიერთობის

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

მატერიალური, იურიდიული და სტომატოლოგიური დახმარება.								სტომატოლოგიური დახმარების გაწევის მექანიზმები.	სამსახური; შესაბამისი ფაკულტეტები
1.3.7. უნივერსიტეტი გააღრმავებს პარტნიორობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროფილის სფეროში მოღვაწე პროფესიულ ასოციაციებთაან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საშუალებას მისცემს მათ სხვადასხვა აქტივობებისათვის გამოიყენოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.	X	√	X	X	X	X	X	• 2020 წლისათვის მჭიდრო თანამშრომლობა არანაკლებ 2 ორგანიზაციასთან	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; შესაბამისი ფაკულტეტები
1.3.8. უნივერსიტეტი ითანამშრომლებს და მეურვეობას გაუწევს ლოკაციის ახლოს მდებარე საჯარო სკოლებს, მათთან ერთად განახორციელებს პროექტებს, პრაქტიკას, კონფერენციებს, სხვა პროგრამებს.	O	O	√	X	X	X	X	• 2021 წლისათვის მჭიდრო თანამშრომლობა არანაკლებ 2 საჯარო სკოლასთან	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; შესაბამისი ფაკულტეტები
1.3.9. უნივერსიტეტი მოაწყობს შეხვედრებს წარმატებულ ადამიანებთან, რომლებიც გამოირჩევიან საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული აქტიურობით ან ბიზნეს-საქმიანობით.	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 2 შეხვედრა წარმატებულ ადამიანებთან ყოველწლიურად.	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
ამოცანა 1.4. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება									
1.4.1. პერსონალის მართვის პოლიტიკის განახლება	√	X	X	X	X	X	X	• 2019 წლის მარტში შემუშავებულია პერსონალის მართვის განახლებული პოლიტიკა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
1.4.2. პერსონალის მართვის პოლიტიკის თანმიმდევრული გაუმჯობესება	O	√	√	√	√	√	√	• 2020 წლის თებერვლისათვის მოდერნიზებული და განახლებულია პერსონალის ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები; • პერსონალის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ არანაკლებ 80% დადებითად აფასებს პერსონალის ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების ადექვატურობას შესასრულებელ სამუშაოსთან.	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
1.4.3. კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის გეგმის შემუშავება, დანერგვა და გაუმჯობესება	O	√	√	√	√	√	√	• აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
1.4.4. უნივერსიტეტი იყენებს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პერსონალის წახალისების პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება მისი საქმიანობის შეფასებას.	O	√	√	X	X	X	X	• 2020 წლისათვის მოდერნიზებული და განახლებულია პერსონალის წახალისების პრინციპები, რომლებიც ეფუძნება მისი საქმიანობის შეფასებას.	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

								• 2021 წლისათვის პერსონალის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ არანაკლებ 60% დადებითად აფასებს პერსონალის წახალისების საუნივერსიტეტო პრინციპებს.	
1.4.5. უნივერსიტეტი ნერგავს და ავითარებს პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურ ჩართვას სამუშაო პროცესში.	O	√	X	X	X	X	X	• 2020 წლის სექტემბრისათვის მომზადებულია ინტეგრაციის პაკეტი ახალი თანამშრომლებისათვის • ახალი თანამშრომლების არანაკლებ 70% კმაყოფილია არსებული სერვისით	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
1.4.6. უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს: მათ შორის:	√	√	√	√	√	√	√	• დაფინანსების ფონდი ყოველწლიურად იქნება საბიუჯეტო ფონდის არანაკლებ 0,5%	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
1.4.7. სამეცნიერო მივლინებების დაფინანსება და ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა	O	√	√	√	√	√	√	• 2019 წელს შემუშავებულია სამეცნიერო მივლინების დაფინანსების წესი • არანაკლებ 2 სამეცნიერო მივლინება/მხარდაჭერა	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
1.4.8. ექსპერტების მოწვევა და ტრენინგი შესაბამისი პირებისთვის, ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებით.	√	√						• 2019-2020 წლებში აკრედიტაციისსტანდარტების ტრენინგზე დამსწრეთა მინიმალური რაოდენობა = 60 • 2019 წელს ავტორიზაციის სტანდარტების შესახებ ტრენინგებზე დამსწრეთა რაოდენობა = 80	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.4.9. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას სხვადასხვა სახის ტრენინგებში, ასევე ტრენინგების ორგანიზებას უნივერსიტეტში.	√	√	√	√	√	√	√	• ყოველწლიურად კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა გაიზრდება არანაკლებ 3-5%-ით.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1.4.10. უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის უცხო ენის (ინგლისურის) კომპეტენციის ამაღლებაზე შესაბამისი ტრენინგ-კურსების მეშვეობით	√	√	√	√	√	√	√	• 2020 წელს ინგლისური ენის კურსები გაიარა 20 პერსონალმა • 15 პერსონალი ყოველწლიურად 2021-2025 წლის პერიოდში	რექტორი; ფაკულტეტები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

ამოცანა 1.5. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება									
1.5.1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების გაუმჯობესება	√	X	X	X	X	X	X	• 2019 წელს განახლებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
1.5.2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) მუდმივი და სტაბილური ხელმისაწვდომობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის. <u>განსახორციელებელი აქტივობები</u>:	X	√	X	√	X	X	X	• გამოკითხულთა არანაკლებ 75% ადასტურებს, რომ მათთვის მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	
• არსებული ქსელური მოწყობილობების განახლება	√	√						• 2019 წლის აპრილში განახლებულია ქსელური მოწყობილობა (swich – 3 ცალი) • 2022 წლისათვის დაქსელილია უნივერსიტეტის დამატებითი ახალი სასწავლო ფართი	
• კომპიუტერული პარკის განახლება	√	√						• 2019 წლის მაისში კომპიუტერული ცენტრი განახლებულია • 2022 წლისათვის ახალი კომპიუტერული ცენტრი	
• უსადენო ინტერნეტის მიწოდების ტექნიკური გაუმჯობესება	√	√						• 2019 წლის მაისისათვის შეძენილი და დამონტაჟებულია Wifi ახალი მოწყობილობები და გაუმჯობესებულია სისტემა • 2022 წლისათვის ახალი სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია Wifi-ს მოწყობილობებით	
• საუნივერსიტეტო სერვერის შეძენა და სისტემის გამართვა				√				• 2022 - შეძენილია სერვერი და გამართულია სისტემა	
1.5.3. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას და ფუნქციონირებს მუდმივად განახლებად რეჟიმში	√	√	√	√	√	√	√	• ყოველწლიურად გამოკითხულთა არანაკლებ 75% ადასტურებს, რომ მათთვის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
1.5.4. უნივერსიტეტის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას და ფუნქციონირებს მუდმივად განახლებად რეჟიმში	√	√	√	√	√	√	√	• ყოველწლიურად გამოკითხულთა არანაკლებ 60% ადასტურებს, რომ მათთვის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი სოციალურ ქსელში ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

ამოცანა 1.6. მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება									
1.6.1. უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე ფართის გაზრდა.	O	O	√					• 2022 წლისათვის საერთო საუნივერსიტეტო ფართობი გაიზრდება 300 m^2-ით	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ინფრასტრუქტურის მართვის სამსახური
1.6.2 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება თანამედროვე აღჭურვილობის, მასალებისა და ინვენტარის შეძენის გზით.	√	√	√	√	√	√	√	• დაფინანსების ფონდი ყოველწლიურად იქნება საბიუჯეტო ფონდის არაუმცირეს 5% • 2019 წლის დეკემბრისათვის მოწყობილია სივრცე ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისათვის (ოსკი) ჯანდაცვის ფაკულტეტის პროგრამებისათვის	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
1.6.3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მოდერნიზება სამუშაო სივრცეების გაუმჯობესებით.	√	X	X	X	X	X	X	• 2019 წლის აპრილისათვის განახლებულია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დარბაზი სამუშაო სივრცეების გაუმჯობესებით • ამ სერვისით კმაყოფილია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის არანაკლებ 80%.	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
1.6.4. საბიბლიოთეკო ფონდის გაახლება და გამდიდრება უცხოენოვანი ლიტერატურით.	√	√	√	√	√	√	√	• ყოველწლიურად გროვდება ინფორმაცია დარგში უახლესი ლიტერატურის შესახებ და ხდება საბიბლიოთეკო ფონდის განახლება.	ბიბლიოთეკა; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
1.6.5. ადაპტირებული გარემოს ხარისხის გაუმჯობესება სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.	√							• 2019 წლის სექტემბრისათვის დამონტაჟებულია ლიფტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
2. სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება									
ამოცანები და ქვე-ამოცანები	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	ძირითადი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნული	ძირითადი სტრუქტურა/პირი
ამოცანა 2.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება მუდმივად ცვალებად გარემოსთან შესაბამისობით									
2.1.1. უნივერსიტეტი მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამების განახლებასა და განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან	X	X	X	X	X	X	X	• იხილეთ 1.2.2-1.2.4 ქვე-ამოცანები • პროგრამების განახლება- მოდერნიზება დაეფუძნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს.	ფაკულტეტები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2.1.2. შემუშავდება და განხორციელდება უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები	√	X	X	X	X	X	X	• 2019 წელს მომზადდება და წარდგება საავტორიზაციოდ/საakრედიტაციოდ მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ენაზე.	ფაკულტეტები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2.1.3. ეტაპობრივად გაიზრდება უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურ ენაზე მომზადებული არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 1 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი ყოველწლიურად.	ფაკულტეტები

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

ამოცანა 2.2. სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება									
2.2.1. გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას.	O	√	X	X	X	X	X	• 2020 წლის ოქტომბრისათვის შემუშავებულია და პრაქტიკაში ინერგება გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი მექანიზმები.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2.2.2. სტომატოლოგიური კლინიკის სერვისების განვითარება, რომელიც მიმართულია სტუდენტების პრაქტიკისა და სტაჟირების გაძლიერებაზე	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 2 წარმატებული სტუდენტის 1 თვიანი სტაჟირება წელიწადში.	ჯანდაცვის ფაკულტეტი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
2.2.3. იურიდიული კლინიკის სერვისების განვითარება, რომელიც სტუდენტების პრაქტიკასა და სტაჟირებასთან ერთად მოქალაქეების მომსახურებასაც განახორციელებს.	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 2 წარმატებული სტუდენტის 1 თვიანი სტაჟირება წელიწადში • მოქალაქეთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი დღეები - არანაკლებ 3 დღე თვეში	სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
2.2.4. პრაქტიკულ უნარებზე მიმართული სასწავლო გარემოს განვითარება	√	√	√	√	√	√	√	• იხილეთ 1.6.2.	ფაკულტეტები
2.2.5. პრაქტიკის ბაზების გაფართოება და ეფექტიანი გამოყენება	√	√	√	√	√	√	√	• პრაქტიკის ბაზების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება არანაკლებ 3%-ით • პრაქტიკის ბაზების გამოყენების მაჩვენებელი შეადგენს არანაკლებ 70%	ფაკულტეტები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
2.2.6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე მიდგომების შესახებ	√	√	X	X	X	X	X	• ყოველწლიურად მინიმუმ 2 ტრენინგი 2019 და 2020 წლებში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ამოცანა 2.3. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სასერთიფიკატო კურსები და პროგრამები									
2.3.1. უნივერსიტეტი შეიმუშავებს და დანერგავს სასერტიფიკატო კურსებს და პროგრამებს	√	√	√	X	X	X	X	• ყოველწლიურად შემუშავებული და დანერგილია მინიმუმ 2 სასერტიფიკატო კურსი/პროგრამა 2019-2021 წლებში	ფაკულტეტები
2.3.2. უნივერსიტეტი შეიმუშავებს და განახორციელებს ტრენინგ-კურსებს	~~√~~	~~√~~	√	√	√	√	√	• წელიწადში მინიმუმ 2 ტრენინგ-კურსი 2021 წლიდან	ფაკულტეტები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ამოცანა 2.4. კვლევის მხარდაჭერა და განვითარება									

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

2.4.1. კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება და მათი განვითარების შეფასება	√	√	X	X	X	X	X	• 2019 წლის ნოემბრამდე ჩატარებულია კვლევითი საქმიანობის შეფასება და იდენტიფიცირებულია კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები; • 2020 წელს შიდა გრანტების სისტემით დაფინანსებულია კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები	კვლევებისა და განვითარების ცენტრი

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

								• 2021-2025 წლებში ყოველწლიურად ფასდება კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება	
2.4.2. შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დანერგვა და განვითარება	O	√	X	X	X	X	X	• 2019 წლის დეკემბრისათვის შემუშავებულია შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემა • 2020 წელს გამოცხადებულია კონკურსი შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტზე • 2020 წელს დაფინანსებულია შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტები • 2021-2025 წლებში უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფინანსებს შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებს.	რექტორი; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; კვლევებისა და განვითარების ცენტრი
2.4.3. საუნივერსიტეტო და რეგიონული სტუდენტური კონფერენციების მოწყობა	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 2 კონფერენცია ყოველწლიურად	ფაკულტეტები; კვლევებისა და განვითარების ცენტრი
2.4.4. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 2 შესაბამისი ღონისძიება ყოველწლიურად	ფაკულტეტები; კვლევებისა და განვითარების ცენტრი
2.4.5. უნივერსიტეტი მოიწვევს ცნობილ მეცნიერებს აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციების წასაკითხად და სამეცნიერო დისკუსიისთვის.	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 2 საჯარო ლექცია ყოველწლიურად	კვლევებისა და განვითარების ცენტრი
2.4.6. უნივერსიტეტი განახლებად რეჟიმში მიაწოდებს ინფორმაციას აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს სამეცნიერო ფონდების საგრანტო კონკურსების შესახებ.	√	√	√	√	√			• სამიზნე აუდიტორიის კმაყოფილება უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ხარისხზე ყოველწლიურად იზრდება არანაკლებ 8%-ით	კვლევებისა და განვითარების ცენტრი
2.4.7. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.	√	√	√	√	√	√	√	• დაფინანსებულია არანაკლებ 5 პერსონა ყოველწლიურად	კვლევებისა და განვითარების ცენტრი
2.4.8. უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის კვლევითი მუშაობის კომპეტენციების გაუმჯობესებაზე ტრენინგების, მასტერკლასების, ვორქშოპების ჩატარების გზით. მათ შორის:	√	√	√	√	√	√	√	• 2019 წელს ასეთ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა = 120 • 2020 წელს არანაკლებ 3 ღონისძიება • ყოველწლიურად არანაკლებ 3 ღონისძიება 2021-2025 პერიოდში	კვლევებისა და განვითარების ცენტრი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2.4.9. ტრენინგები სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის შესახებ	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 3 ტრენინგი 2019 წელს	კვლევებისა და განვითარების ცენტრი

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

								• ელექტრონული ბაზების გამოყენების მაჩვენებელი 2020 წლისათვის გაზრდილია არანაკლებ 10%-ით • ელექტრონული ბაზების გამოყენების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება არანაკლებ 8%-ით 2021-2025 პერიოდში	
2.4.10. ტრენინგები საერთაშორისო მაღალი იმპაქტფაქტორის ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების შესახებ	√	√						• არანაკლებ 2 ტრენინგი 2019 და 2020 წელს	კვლევებისა და განვითარების ცენტრი
3. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტური სერვისების განვითარება									
ამოცანები და ქვე-ამოცანები	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	ძირითადი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნული	ძირითადი სტრუქტურა/პირი
ამოცანა 3.1. სტუდენტური ინიციატივებისა და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა-მხარდაჭერა									
3.1.1 უნივერსიტეტი დააფინანსებს სტუდენტური თვითმმართველობის ღონისძიებებს სტუდენტური ცხოვრებისა და თვითშემოქმედების განვითარების მიზნით	√	√	√	√	√	√	√	• დაფინანსების ფონდი ყოველწლიურად იქნება ბიუჯეტის არანაკლებ 0,3%	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; სტუდენტური თვითმმართველობა
3.1.2. უნივერსიტეტი ეტაპობრივად განავითარებს სპორტულ კლუბებს და შემოქმედებით სექციებს (თეატრი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები) სტუდენტების მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.	O	√	√	X	X	X	X	• 2019 წელს გამოვლინდება პრიორიტეტული სექციები სტუდენტების ინტერესების შესაბამისად; • 2020 წლიდან უნივერსიტეტი ეტაპობრივად განავითარებს მინიმუმ ერთ კლუბს/სექციას	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური
3.1.3. უნივერსიტეტი გამოაცხადებს საპროექტო კონკურსს სტუდენტებისათვის: „თჰუ კრეატივი“	O	√	√	√	√	√	√	• საკონკურსო პირობების შემუშავება 2019 წელს • კონკურსის ჩატარება და გამარჯვებული პროექტის განხორციელება 2020 წელს. • მინიმუმ 1 პროექტის დაფინანსება ყოველწლიურად	რექტორი; სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური
ამოცანა 3.2. სტუდენტური სერვისები და კარიერული მხარდაჭერა									
3.2.1. უნივერსიტეტი გააგრძელებს სტუდენტებისთვის შეღავათების (სოციალური პროექტები) გაწევას და სასტიპენდიო პროგრამის განხორციელებას.	√	√	√	√	√	√	√	• მინიმუმ ორი სტიპენდია ყოველწლიურად • მინიმუმ 1 სოციალური პროექტი ყოველსემესტრულად	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

3.2.2. უნივერსიტეტი სტუდენტებს შეთავაზებს დასაქმებაზე ორიენტირებულ ტრენინგ-კურსებს	√	√	√	√	√	√	√	• წელიწადში მინიმუმ 2 ტრენინგი მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა = 40 სტუდენტი	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური
3.2.3. უნივერსიტეტი მოიწვევს წარმატებულ ადამიანებს სტუდენტებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით.	√	√	√	√	√	√	√	• არანაკლებ 2 შეხვედრა ყოველწლიურად.	
3.2.4. უნივერსიტეტი შექმნის მუდმივად განახლებად დამსაქმებლების ბაზას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით;	O	√	√	√	√	√	√	• 2019 წლის სექტემბრისათვის შექმნილია დამსაქმებლების ბაზა • ორგანიზაციების რაოდენობა მინიმუმ 2%-ით გაიზრდება ყოველწლიურად	
3.2.5.უნივერსიტეტი შექმნის კურსდამთავრებულთა ბაზას და მონიტორინგს გაუწევს კურსდამთავრებულთა კარიერის განვითარებას.	O	√	X	X	X	X	X	• 2020 წლის სექტემბრისათვის შექმნილია კურსდამთავრებულთა ბაზა	
3.2.6. უნივერსიტეტი განახორციელებს სტაჟირების პროგრამებს სტუდენტებისათვის	√	√	√	√	√	√	√	• იხილეთ 2.2.2 და 2.2.3 პუნქტები • არანაკლებ 4 სტუდენტის სტაჟირება წელიწადში	ფაკულტეტები; სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური
4. სტრატეგიული მიზანი - საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინტერნაციონალიზაცია და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა									
ამოცანები და ქვე-ამოცანები	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	ძირითადი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნული	ძირითადი სტრუქტურა/პირი
ამოცანა 4.1. საზოგადოებასთან ურთიერთობა და ურთიერთსასარგებლო კავშირების განვითარება									
4.1.1. უნივერსიტეტი შექმნის პარტნიორი ორგანიზაციების ქსელს, რომელთანაც განსაკუთრებული ურთიერთსასარგებლო ურთიერთობები ექნება.	O	O	√	X	X	X	X	• 2021 წლის თებერვლისათვის შექმნილია პარტნიორი ორგანიზაციების ქსელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
4.1.2. უნივერსიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს კერძო უნივერსიტეტების ასოციაციასთან	X	X	X	X	X	X	X	• უნივერსიტეტი მონაწილეობს ასოციაციის ღონისძიებებში	რექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
ამოცანა 4.2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა									
4.2.1. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას. დააფინანსებს აკადემიური პირების მივლინებას პარტნიორ უნივერსიტეტებში	√	√	√	√	√	√	√	• მინიმუმ 2 აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად	საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

4.2.1. უნივერსიტეტი მოიწვევს/მიიღებს უცხოელ ლექტორებს ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში.	√	√	√	√	√	√	√	• მინიმუმ 1 უცხოელი ლექტორი ყოველწლიურად.	რექტორი; საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური
4.2.2. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს, სტუდენტების მობილობას პარტნიორ უნივერსიტეტებში; მოიწვევს/ მიიღებს უცხოელ სტუდენტებს ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში.	√	√	√	√	√	√	√	• მინიმუმ 2 სტუდენტი ყოველწლიურად	
4.2.3. გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით, განხორციელდება ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა მივლინება პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში.		√	√	X	X	X	X	• მინიმუმ 1 ვიზიტი 2020-2021 წლებში	
4.2.4. უნივერსიტეტი გააქტიურებს თანამშრომლობას უცხოეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და გააფორმებს ახალ ხელშეკრულებებს.	√	√	√	√	√	√	√	• ყოველწლიურად გაფორმდება მინიმუმ 2 ახალი მემორანდუმი,	
4.2.5. უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს საერთაშორისო საზაფხულო სკოლებს და მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს.	O	√	√	√	√	√	√	• ყოველწლიურად ჩატარდება მინიმუმ 1 საზაფხულო სკოლა.	ფაკულტეტები; საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური
4.2.6. საერთაშორისო რეკლამა მიზნობრივ ბაზარზე	√	√	√	√	√	√	√	• მინიმუმ 2 სარეკლამო ღონისძიება ყოველწლიურად სოციალური ქსელების, უცხოენოვანი ბუკლეტების, უცხოელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით.	საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
4.2.7 უნივერსიტეტი უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით გააქტიურებს თანამშრომლობას შუამავალ სააგენტოებთან და გააფორმებს ახალ კონტრაქტებს.	√	√	√					• ყოველწლიურად გაფორმდება მინიმუმ 1 ახალი ხელშეკრულება.	საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური;

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

7. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (2019-2025)

1. დამტკიცდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა კონტიგენტის სავარაუდო განაწილება 2019-2025 წლებისათვის დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვა ფაკულტეტების მიხედვით დანართი 2-ის შესაბამისად.
3. წარმოდგენილი სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა დაეფუძნა თჰუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიას (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მაისის N10/2018 გადაწყვეტილება და თჰუ რექტორის 2018 წლის 7 მაისის N92/07 ბრძანება).

დანართი 1. თჰუ-ს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

	პროგრამების დასახელება	საფეხური	სტუდენტების სავარაუდო გეგმიური რაოდენობა					შენიშვნა
			2020	2021	2022	2023	2024-2025	
1.	სამართალი	ბაკალავრიატი	50	50	50	50	50	
2.	ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი	20	20	20	20	20	
3.	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	ერთწლიანი	15	15	15	15	15	
4.	ბიზნესის ადმინისტრირება (ქართულენოვანი)	ბაკალავრიატი	50	50	50	50	50	
5.	ბიზნესის ადმინისტრირება (რუსულენოვანი)	ბაკალავრიატი	170	166	155	125	125	
6.	ტურიზმი	ბაკალავრიატი	20	30	30	40	40	
7.	სტომატოლოგია (ქართულენოვანი)	ერთსაფეხურიანი	90	90	90	90	90	
8.	სტომატოლოგია (რუსულენოვანი)	ერთსაფეხურიანი	295	249	200	170	140	
9.	ფარმაცია	ბაკალავრიატი	20	20	20	20	20	
10.	სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)	ერთსაფეხურიანი	0	40	70	90	120	
11.	*სამართალი	მაგისტრატურა	0	0	15	30	30	პროგრამა შესამუშავებელია
12.	*ბიზნესის ადმინისტრირება	მაგისტრატურა	0	0	15	30	30	პროგრამა შესამუშავებელია
		სულ:	730	730	730	730	730	
2019 წლის 2 დეკემბერს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით N43 სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 730-ით. სტუდენტთა კონტიგენტის დაგგეგმვა წარმოდგენილია აღნიშნული წინაპირობიდან გამომდინარე.								

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.

დანართი 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვა ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტი (პროგრამა)	აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან						სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულის მიღწევის მოსალოდნელი თარიღი
	2019	2020	2021	2022	2023	2024 2025		
სამართლის საბაკალაბრო პროგრამა	14/47 1:3.4	14/45 1:3.2	1:5	1:5	1:5	1:5	1:5	2022
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)	17/40 1:2.4	17/60 1:3	1:6,5	1:6,5	1:6,5	1:6,5	1:10	2025
ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი	27/225 1:8.3	27/216 1:9,6	1:10	1:10	1:10	1:10	1:10	2021
ჯანდაცვის ფაკულტეტი	36/381 1/10.5	41/409 1:10	1:10	1:10	1:10	1:10	1:10	2021

√ - პროცესი მიმდინარეა, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ექვემდებარება მონიტორინგს; O - პროცესი იგეგმება, მიმდინარეობს საფუძვლიანი მოსამზადებელი სამუშაოები; X - პროცესი მიმდინარეა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აფასებს არსებულ მდომარეობას და ასახავს ყოველწლიურ ანგარიშში.